bripa Business Rehabilitation & Insolvency Practitioners Association

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Economic Governance Program

კრიზისი ბადებს შესაძლებლობებს

bripa Business Rehabilitation & Insolvency Practitioners Association

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Economic Governance Program

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მოკლე განმარტებითი სახელმძღვანელო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის

ეს სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის “ბიზნესის რეაბილიტაციის და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის გაძლიერება” ფარგლებში, რომელიც სრულად დაფინანსებულია USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მიერ.

სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

2022

WWW.BRIPA.GE

სარჩევი

შესავალი 5

რატომ უნდა ვიცოდეთ კანონი 6

რეგულირებული შეთანხმება 6

რეაბილიტაციის რეჟიმი 9

გაკოტრების რეჟიმი 14

როგორ წესრიგდება საგადასახადო დავალიანების გადახდა 15

რა არის გადახდისუუნარობის მასა..... 17

გადახდისუუნარობის საქმისწარმოება..... 18

შესავალი

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ფარგლებში, მოგვეცა შესაძლებლობა კანონიერად და ღიად განვახორციელოთ ჩვენი ბიზნესი, არ ვიყოთ ამოფარებული ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურას და შევძლოთ ოფიციალურად ვიყოთ ჩართული, პროდუქციის წარმოების, მომსახურების მიწოდების თუ ყიდვა-გაყიდვის ეკონომიკურ პროცესებში. გადავიხადოთ გადასახადები, კანონიერად მივიღოთ შემოსავალი და პარტნიორებთან ერთად გავინაწილოთ კუთვნილი დივიდენდი.

სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემო პირობების ზეწოლების გამო, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ფინანსური ოპერაციების შეფერხება, რეგიონალურ ბაზრებზე მოთხოვნის ვარდნა, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, პანდემიისაგან გამოწვეული, მოთხოვნა/მიწოდების დაუბალანსებლობა, რომელიც უარყოფითი თანაბრობით აისახება ბიზნესზე და მომხმარებელზე, იწვევს არსებული ბიზნესის ეკონომიკური აქტივობის შენელებას, რის შედეგად კომპანიები დგებიან ფინანსური კრიზისის წინაშე. კომპანიებისათვის, კრიზისის დაძლევის მიზნით დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა შექმნეს სპეციალური ხელშემწყობი ნორმები.

კომპანიებმა უნდა შეძლონ, მსგავსი კრიზისის დროს კანონიერად იმოქმედონ, მიეცეთ შესაძლებლობა უპასუხონ ეკონომიკური და ფინანსური გამოწვევების სირთულეებს კრედიტორების კოლექტიური ინტერესების გათვალისწინებით.

კერძოდ, შეაჩერონ კრედიტორთა მოთხოვნები და გონივრულობის ფარგლებში შექმნან კრიზისის დაძლევის კანონიერი გზები, გეგმა გრაფიკი, ვალების გადავადება, გადასახადების შეჩერება, ყადაღების მოხსნა, სექტორული ლიკვიდაციები, აქტივების გამონთავისუფლება და ა.შ.

ამდენად, ახალი კანონი, როგორც ინსტრუმენტი გვეხმარება კრიზისის კანონიერი გზების დაძლევით, ბიზნესის შენარჩუნებით თუ აქტივების ეფექტური გადაცემით/ რეალიზაციით, მოვემსახუროთ კრედიტორებს. ამ მიდგომით, ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა კანონით გამოცხადებული მორატორიუმის ფარგლებში იმოქმედოს, დაძლიოს კრიზისი და მიიღოს განახლებული სიცოცხლისუნარიანი ძალა. გადახდისუუნარობა, რეგულირებული შეთანხმება, რეაბილიტაცია, გაკოტრება, ეს არის კომპანიებისათვის კანონით მინიჭებული მექანიზმები, რომლითაც ბიზნესს საფუძველი აქვს შექმნილი კრიზისის დროს გაითვალისწინოს საკუთარი და კოლექტიური, ყველა კრედიტორის ინტერესები.

რატომ უნდა ვიცოდეთ კანონი?

➢ **გამოიწვევს თუ არა სხვისი გადახდისუუნარობა შენი საწარმოს გადახდისუუნარობას? რატომ უნდა გვქონდეს ინფორმაცია მაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმების შესახებ?**

ცალკეული კომპანიის გადახდისუნარიანობის შესახებ სრული ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისათვის, ვინაიდან კრიზისში მყოფი კომპანია შესაძლებელია აღმოჩნდეს მთავარი მომწოდებელი/პარტნიორი, რომლის გარეშე არ იწარმოება პროდუქცია. ამიტომ მომწოდებლის გადახდისუუნარობამ შესაძლებელია მწარმოებლის გადახდისუუნარობა გამოიწვიოს და ეს პროცესი გახდეს მათ შორის შეუქცევადი. შედეგად გაკოტრებული კომპანიები სხვებსაც ჩაიყოლებენ. პროცესში ჩართულობა კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ერთგვარ კონტროლს თუ როგორ მიმდინარეობს ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი პარტნიორი კომპანიის გადახდისუუნარობის პროცესი, როდის შეიძლება მიიღოს კრედიტორმა კუთვნილი საქონელი ან ფული, რა რაოდენობით, რამდენად რეალურია მისი კრიზისიდან გამოსვლა, რამდენად ეფექტურად უმკლავდება სირთულეებს და ა.შ. რასაკვირველია, სხვა თუ კოტრდება, ნებსით თუ უნებლიეთ, ეს იწვევს პირდაპირ და ირიბად ბიზნეს კავშირებით დამოკიდებულ სხვა კომპანიებზე ზეგავლენას. საკუთარ ბიზნესზე ზრუნვიდან გამომდინარე სხვისი გადახდისუუნარობის პროცესში ჩართულობა სავალდებულო ხდება. ამდენად კანონით შემოთავაზებული ეფექტური მექანიზმების ცოდნა, რომელმაც სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, ორმხრივად მოვალე საწარმოსათვის და კრედიტორისათვის სავალდებულო ხდება.

თუ იცი კანონი, იცი შენი უფლებები, გაქვს დროული ინფორმაცია და იცი როგორ იმოქმედო, გადარჩები შენ და გადაარჩენ სხვას. ბიზნესი როგორც მოქმედი საწარმო გააგრძელებს არსებობას.

რეგულირებული შეთანხმება

➢ **რას ნიშნავს ბიზნესისათვის ახალი შესაძლებლობა? როგორ რეგულირდება და იმართება პროცესი სასამართლოს გარეშე?**

რეგულირებული შეთანხმება - ეს არის სრულიად ახალი ინსტიტუტი ქართული ბიზნესისათვის, ეს არის ნოვაცია. ტრადიციულად, გადახდისუუნარობა, რეაბილიტაცია და გაკოტრება, ბიზნესებისათვის ასოცირდება სასამართლოსთან, მოსამართლესთან, აღმასრულებელთან და სასამართლო პროცედურებთან.

კანონის ამ შეთავაზებით ბიზნესები გამონთავისუფლდნენ არსებული ტრადიციული მიდგომისაგან და უკვე სასამართლოს გარეშე, თავად შეუძლიათ სამართლიანად გადაწყვიტონ კრიზისის დაძლევის შესაძლებლობა, შექმნან კრედიტორების გასტუმრების/ვალების გადახდის ახალი გრაფიკი და იმოქმედონ სასამართლო პროცედურების გარეშე.

კანონით მინიჭებული პრივილეგიაა კომპანიებისათვის, შეინარჩუნონ მოქმედი, არსებული საწარმო. ამ მიზნით, ნდობის მაღალი და განსაკუთრებული მანდატი მინიჭებული აქვს რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს ანუ პროფესიონალ და სერთიფიცირებულ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს.

მოქმედ კომპანიას, რომელიც არსებული ეკონომიკური ბრუნვების შესუსტებიდან გამომდინარე ხედავს, რომ მას ფინანსური სირთულეები ელოდება, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და სირთულეების დაძლევის, თავიდან აცილების მიზნით მიმართოს ამ ახალ შესაძლებლობას და მოკლე ვადებში მოახერხოს კომპანიის რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში გადაყვანა. კანონით მინიჭებული პროცედურების დაცვით და, რა თქმა უნდა, იმ მნიშვნელოვანი პირობით, რომ ახალი ბიზნეს ხედვით, კრიზისი თავიდან იქნება არიდებული, დაკმაყოფილდებიან კრედიტორები და კომპანია თავიდან აიცილებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოების თანმდევ პროცედურებს და ხარჯებს. ამასთანავე, ისარგებლებს მორატორიუმის იმ საერთო წესებით, რომელიც გათვალისწინებულია სასამართლო რეჟიმების დროს.

რეგულირებული შეთანხმების დროს, ე.წ. „სასამართლოს მიღმა პროცესი“ მიმდინარეობს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეული მოლაპარაკებების გზით, მოვალე კომპანიასა და კრედიტორს(ებ)ს შორის, პირისპირობის პრინციპით. შედეგად, დროისა და რესურსების დაზოგვით, შესაძლებელია სასამართლოს გარეშე, გამოინახოს ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და წყაროები. მიაღწიო შეთანხმებას კრედიტორებთან ახალი რეგულირების შესახებ, რაც კომპანიის შემდგომი მართვის და საქმიანობის გაგრძელების კანონიერი შესაძლებლობაა.

ამ პროცესის განხორციელებისათვის და რეგულირებული შეთანხმების ამოქმედებისათვის გეგმა-გრაფიკი და სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოდ უნდა ასახავდეს თუ რა მოთხოვნები გააჩნიათ კრედიტორებს და ვინ არიან კრედიტორები, ე.წ. კრედიტორთა რეესტრი, შედგენილი უნდა იყოს თავად კომპანიის მიერ. კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს კრედიტორებთან, მათ შორის ინდივიდუალურად.

შეთანხმების დამტკიცებისთვის საჭიროა კრედიტორთა კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე კრედიტორთა სულ მცირე 75%-ის მხარდაჭერა. კრედიტორთა მიერ მოწონებული შეთანხმება არ ექვემდებარება სასამართლოს მიერ დამტკიცებას. შეთანხმება მიგვაქვს სასამართლოში, სასამართლო შინაარსის განხილვის გარეშე ფორმალურად მიიღებს განაჩინებას და რეგულირებული შეთანხმება დაიწყებს მოქმედებას.

მნიშვნელოვანი უპირატესობა:
კრედიტორებთან რეგულირებული შეთანხმების მიღწევის პერიოდში, რომელიც არის 2+2 თვე, მოქმედებს მორატორიუმის პირობები, ანუ იძულებითი ღონისძიებები ჩერდება. მორატორიუმის პერიოდში ბიზნესი დაცულია სახელმწიფო ან კერძო აღსრულებისაგან. აღნიშნულს უწოდებენ დაცვის პრივილეგიას.

რეგულირებული შეთანხმების პროცედურის თანმიმდევრობა ასეთია:

1. კრედიტორებისთვის ახალი წესებით შეთანხმების შეთავაზების უფლება აქვს მოვალე კომპანიას, პარტნიორთა აუცილებელი თანხმობის პირობით.
2. შემდგომ, კომპანიამ უნდა მიმართოს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, რომელმაც უნდა შეაფასოს, თუ რამდენად რეალურად და გამართულად გამოიყურება შეთავაზება და გეგმა. თუ პრაქტიკოსი მისი პროფესიონალური მიდგომით ხედავს, რომ შეთავაზება დამაკმაყოფილებელია, ადგენს დასკვნას, რომელიც გადაეცემა სასამართლოს.
3. სასამართლო, როგორც აღვნიშნეთ მხოლოდ ფორმალურად გადაამოწმებს შეთავაზებას და გამოსცემს განჩინებას რეგულირებული შეთანხმების დაწყების შესახებ.
4. ამოქმედდება მორატორიუმი ანუ დაცვის პრივილეგია, მორატორიუმის ამოქმედება არის საფუძელი კომპანიამ დაიწყოს მოლაპარაკებები კრედიტორებთან, მათ შორის ინდივიდუალურად.
5. კრედიტორებთან ნაწარმოები წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, რეგულირებული შეთანხმების პირობები საბოლოოდ მოწონებული უნდა იქნეს კრედიტორთა კრებაზე და დამტკიცდეს ის.
6. შეთანხმების დამტკიცებისთანავე მორატორიუმი იხსნება და კომპანია აგრძელებს თავის ჩვეულ საქმინობას უკვე ახალი რეგულირებული შეთანხმების პირობებით. თუ კომპანია დაარღვევს დამტკიცებულ შეთანხმებას, რეგულირებული შეთანმხების ზედამხედველი უფლებამოსილია (ხოლო კრედიტორთა მოთხოვნით, ვალდებულია) სასამართლოში შეიტანოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, სასამართლოსაგან გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების მოთხოვნით.

კომპანიის მიერ შერჩეულმა პროფესიონალმა პრაქტიკოსმა, რომელმაც განიხილა რეგულირებული შეთავაზების პროექტი და შეადგინა დასკვნა, ეწოდება - რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი.

რეაბილიტაციის რეჟიმი

ახალმა კანონმა სრულიად ახლებურად და ბიზნესისათვის შესაძლებლობების ფართე შეთავაზებით ჩამოაყალიბა რეაბილიტაციის არსი.
კანონი შესაძლებლობას აძლევს კომპანიას ისარგებლოს რეაბილიტაციის რეჟიმით და იქვე, ალტერნატიულად, როგორც შესაძლებლობას **განიხილავს კომპანიისაგან განცალკევებით განხორციელდეს ბიზნესის გაყიდვა, ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას საწარმოს უწყვეტობა (Going Concern) და მისი ახალი სამართლის სუბიექტისათვის (კომპანიისათვის) გადაცემა.** ანუ, თუ მიზანშეწონილად იქნა განხილული კომპანიისაგან დამოუკიდებლად ბიზნესის გადარჩენა, კანონი ამის შესაძლებლობას რეალურს ხდის. მთავარია მიზანშეწონილება, ეფექტიანობის განჭვრეტა, საქმიანობის გაგრძელების სურვილი, პრობლემების რეალური დაძლევა და კრედიტორთა ისეთი დაკმაყოფილება, რომ ეს არ იყოს გაკოტრების პროცესის დროს მისაღებ თანხაზე ნაკლები **(კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტი).** იმ აუცილებელი პირობით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი რეაბილიტაცია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილების ან მათი ინტერესების პრიორიტეტული დაცვისაკენ უნდა იყოს მიმართული.
რეაბილიტაციის პროცესის წარმართვით მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორები, როგორც კოლექტიური ერთობა, ერთობლივად, თანაპროპორციული ოდენობებით კმაყოფილდებიან.

ვინაიდან, კანონი რეაბილიტაციის ცნებას ფართო მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ ბიზნეს საზოგადოებას ჯერ სრულად არ აქვს გაცნობიერებული ის სიკეთე, რომელიც მას კანონმა პრობლემების დაძლევისათვის მიანიჭა.

როგორც აღინიშნა, რეაბილიტაცია შეეხება მოვალეს ანუ კომპანიას და აგრეთვე მის ბიზნესს (ბიზნესის მოვალის სუბიექტისაგან გამოცალკევებით და მოვალის შემდგომი ლიკვიდაციით). ასეთი რეჟიმის შემოღება უკვე რადიკალურად ცვლის კომპანიის პასუხისმგებლობასაც. რეაბილიტაციის რეჟიმის შემოღებამდე კომპანიის მენეჯმენტს ვალდებულებები გააჩნდა დამფუძნებლების მიმართ, მაგრამ უკვე რეაბილიტაციის შემოღებით ვალდებულებები პირდაპირ მიმართულია კრედიტორების ერთობლიობის მიმართ.

მნიშვნელოვანი სიახლე:

ახალი კანონი კომპანიის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს შესაძლებლობას აძლევს დარჩეს მართვაში. ამ პროცესს ეწოდება - ***მოვალე მართვაში.*** ასეთ შესაძლებლობას კანონი ითვალისწინებს ისეთი ვითარებისას, როდესაც თავად კომპანია მიმართავს სასამართლოს გადახდისუუნარობის საქმის დაწყების ინიციატივით და თავად კომპანია დასაბუთებულად მოითხოვს მართვაში დარჩენას. რა თქმა უნდა იმ მიზანშეწონილი

პირობით, რომ მოსამართლისათვის მართლზომიერად და დამაჯერებლად გამოიყურებოდეს კომპანიის გადარჩენის სურვილი და კრედიტორთა ინტერესების კოლექტიურად დაკმაყოფილების რეალობა. კანონის ამ სულისკვეთებას თუ გავითვალისწინებთ, იგი პირდაპირი შესაძლებლობაა დღევანდელ პანდემიურ გარემოში დაეხმაროს კომპანიებს დაძლიონ კრიზისი და შეინარჩუნონ ბიზნესები. კომპანიები კანონით რეგულირებულ ჩარჩოში კეთილსინდისიერად უნდა გაუძღვნენ ბიზნეს საქმიანობას.

➢ რეაბილიტაციის ზედამხედველი

იმისათვის, რომ რეაბილიტაციის რეჟიმის მიმართ ნდობის და პასუხისმგებლობის დაბალანსებული მანდატი არსებობდეს, რომლის დროსაც მოვალე რჩება მართვაში, კანონმა ეს პროცესი **რეაბილიტაციის ზედამხედველის** ჩარჩოებში მოაქცია. რეაბილიტაციის რეჟიმში საქმეებს უძღვება და მართავს თავად მოვალე, ხოლო მასზე კონტროლი ხორციელდება სასამართლოს მიერ დანიშნული პროფესიონალი პრაქტიკოსის, **რეაბილიტაციის ზედამხედველის** მიერ. რეაბილიტაციის ზედამხედველის მთავარი ფუნქციაა, ერთი მხრივ, მოვალის საქმიანობის ზედამხედველობა, ხოლო მეორე მხრივ, რეაბილიტაციის პროცესის წარმართვა მართვაში მყოფ მოვალესთან ერთად, მათ შორის, კრედიტორებთან მოლაპარაკებების წარმოება, რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და სხვა. მმართველს აქვს უფლება, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუ ის რეაბილიტაციის მართვის უფლებამოსილებების ფარგლებში ხორციელდება.

➢ რეაბილიტაციის ზედამხედველის მმართველით შეცვლა

დაინტერესებულ პირთა მიმართვის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს მართვაში მყოფი მოვალე/დირექტორი რეაბილიტაციის მმართველით, თუ ადგილი აქვს: მოვალის თაღლითობას, არაკეთილსინდისიერებას, მოტყუებას, არაკომპეტენტურობას, აუცილებელი ზრუნვის მოვალეობის დარღვევას, მმართველობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი დარღვევებით წარმართვას ან მართვის მიტოვებას და ა.შ.

➢ რეაბილიტაციის მმართველი

სასამართლოს მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველით კანონმდებელმა პოზიტიური სიახლე შემოგვთავაზა. სასამართლოს მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველი სრული უფლებამოსილებით მხოლოდ კანონით შემოსაზღვრული ვადით არის მივლენილი კომპანიაში. მას შემდეგ, როდესაც სასამართლოს მიერ

დაინიშნება რეაბილიტაციის მმართველი, მან უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ, გადახდისუუნარობის მასის დაცვა და მეორე მხრივ, რეაბილიტაციის გეგმის შეთავაზება კრედიტორებისათვის. კრედიტორებისათვის შეთავაზებული გეგმის დამტკიცების შემდგომ, კომპანია აგრძელებს საქმიანობას დამტკიცებული გეგმის მიხედვით და აღარ არის სავალდებულო რეაბილიტაციის მმართველის არსებობა.

- სასამართლოს მიერ დანიშნულ რეაბილიტაციის მმართველს კანონი ერთგვარ დამოუკიდებლობის გარანტიას ანიჭებს. რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნით მას ენიჭება კომპანიის დირექტორის უფლებამოსილება, პირობითად ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ,,მეწარმეთა შესახებ" კანონით. მმართველი აღიჭურვება დირექტორის სტატუსით. მმართველისათვის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციის მინიჭებით, მოქმედ დირექტორს უწყდება უფლებამოსილება. ასეთი შესაძლებლობა მმართველისთვის, რეაბილიტაციის განხორციელებისა და თავისი უფლება-მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, დირექტორს ავალებს, ითანამშრომლოს რეაბილიტაციის მმართველთან, მიიღოს მონაწილეობა რეაბილიტაციის გეგმის შედგენასა და იმპლემენტაციაში.

რეაბილიტაციის მმართველის სამოქმედო პერიოდია მისი სასამართლოს მიერ დანიშვნიდან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისა და ამოქმედების პერიოდამდე დრო.

➢ კანონით რეაბილიტაციის რეჟიმს ცალსახა და უპირობო პრიორიტეტი ენიჭება

- გასათვალისწინებელია წამახალისებელი არაერთი მექანიზმი: მოვალის მართვაში დატოვება, გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციაში კონვერსიის შესაძლებლობა, ბიზნესის გადაცემა და სხვა. ბიზნესის გადაცემა არ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხოლოდ აქტივების გადაცემა ხდება, იგი გულისხმობს აქტივების გადაცემასთან ერთად კრედიტორული დავალიანებების გადაცემას, ანუ ბიზნესის გადაცემას უნდა ,,გადაყვნენ" კრედიტორები.

ამიტომ, კანონით, პრიორიტეტების მიხედვითაა დალაგებული თავად რეაბილიტაციის წარმართვის გზები. ასეთ გზად კანონი განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც უპირატესად მიმართული უნდა იყოს მოვალე-სუბიექტის გადარჩენისკენ, რა დროსაც კრედიტორული მოთხოვნები სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს,

რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა. ამ შემთხვევაში რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მოვალის, როგორც მოქმედი ბიზნესის, გადარჩენას, ასევე მოვალის მთლიანი ბიზნესის/ქონების გასხვისებას, საქმიანობის გაგრძელებას კრედიტორების გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით და სხვა. **განსხვავებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრებისას, როდესაც მთლიანი ქონება ერთიან კომპლექსად იყიდება, ასეთი რეალიზაცია ემსახურება რეალურ დროში პირდაპირ კრედიტორებისათვის მინიმალური თანხების რიგითობით განაწილებას (ეს პროცესი უფრო მეტად საგადასახდო კოდექსით გათვალისწინებულ „საწარმოს გადაცემის„ პროცესს გავს).** ხოლო რეაბილიტაციის რეჟიმის დროს ეს არ არის მხოლოდ ქონების სრული რეალიზაცია, ეს არის პირველ რიგში, ბიზნესის გადაცემა ახალი საწარმოსათვის და ამ ბიზნესის უწყვეტობის საჭიროებიდან გამომდინარე, თანმდევი პროცესია ქონების გადაცემა, რომელსაც ,,გადაყვებიან“ კრედიტორები.

➢ კრედიტორთა კომიტეტი

ხშირ შემთხვევებში, კომპანიებში ეკონომიკური ბრუნვიდან და ბიზნესის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, კრედიტორების რაოდენობა დიდია. მართვის პროცესებისას კრედიტორთა მრავალრიცხოვანი ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით გათვალისწინებულია ***კრედიტორთა კომიტეტის*** შექმნის შესაძლებლობა. კრედიტორთა კომიტიტეტი არ არის მრავალრიცხოვანი, ამიტომ ის უფრო მეტად მოქნილია და ეფექტურად უზრუნველყოფს რეაბილიტაციის რეჟიმისას კრედიტორების ინტერესების გამოხატვას. კანონით რეაბილიტაციის გეგმა კრედიტორთა მიერ მოწონებულ უნდა იქნეს რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 6 თვისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით, არაუმეტეს 3 თვით, მაგრამ ამაზე მეტს კანონი აღარ ითვალისწინებს. კრედიტორთა კრების ჩატარებას და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს დიდი დრო სჭრიდება, განსაკუთრებით კრედიტორთა სიმრავლისას. ამიტომ კრედიტორთა კომიტეტის ინსტიტუტის შემოღებით კანონი უფრო მეტად ეფექტურს და მოქნილს ხდის მმართველთა ურთიერთობას კრედიტორებთან. კრედიტორთა კომიტეტთან თანამშრომლობით შემუშავებული რეაბილიტაციის გეგმა ადვილად მოწონებადი ხდება კრედიტორებისათვის და იგი ძალაში შედის სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე, თუ გეგმით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული (არაუგვიანეს გეგმის დამტკიცებიდან 1 თვისა). სასამართლოს მიერ დამტკიცებული გეგმა შესასრულებლად სავალდებულოა ყველა კრედიტორისთვის. აქვე უნდა, აღინიშნოს, რომ ყველა არაუზრუნველყოფილ კრედიტორს (ჩვეულებრივ კრედიტორს) აქვს ხმის უფლება ***კრედიტორთა რეესტრში*** აღიარებული მოთხოვნის შესაბამისად. რაც შეეხება ***უზრუნველყოფილ კრედიტორებს,*** მათი სამართლებრივი განხილვა დამოუკიდებლად განცალკევებით უნდა ჩამოვაყალიბოთ. ვინაიდან, უზრუნველყოფილ კრედიტორს ხმის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეაბილიტაციის გეგმით მოვალესა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის არსებული ხელშეკრულების პირობები იცვლება.

➢ რეაბილიტაციის გეგმა და უზრუნველყოფილი კრედიტორები

ახალმა კანონმა განაცალკევა კრედიტორების უფლებაუნარიანობა. უზრუნველყოფილი კრედიტორის პრიორიტეტულობა რიგითობაში გამოიხატებოდა და მათ ვალების გასტუმრებისას ყოველთვის რამდენიმე საფეხურით მაღალი/ზედა ადგილი ეკავათ. ისინი ჩვეულებრივ მონაწილეობდნენ კრედიტორთა კრებებში და უპირატესად ახორციელებდნენ თავიანთი ინტერესების გატარებას, სხვა კრედიტორების ინტერესების უგულვებელყოფით. ახალი კანონით კი, უზრუნველყოფილი კრედიტორები საერთოდ გაყვანილი იქნენ პროცესიდან და მათ მიენიჭათ უფლება, თავიანთი მოთხოვნები დაიკმაყოფილონ იმ ქონებიდან, რომელიც მათ მიერ პროცესის დაწყებამდე იქნა დატვირთული იპოთეკით ან გირავნობით. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისები, მაგრამ მათი დეტალური განხილვა ცალკე განმარტებებით უნდა მოხდეს. მთავარია, რომ ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან სამართლებრივად დამოუკიდებელი კრედიტორთა ჯგუფი, უზრუნველყოფილი კრედიტორები, რომლებიც უკვე არსებითად აღარ მონაწილეობენ გადახდისუუნარობის პროცესში და კრედიტორები, რომლებიც ქმნიან კრედიტორთა კრებას, კრედიტორთა კომიტეტს და რომელთა კოლექტიური ინტერესების დაცვაზე და აღსრულებაზე ზრუნავს კანონი პრიორიტეტულად და მიზნობრივად, ბიზნესის გადარჩენის იდეით.

უზრუნველყოფილ კრედიტორებს კანონმა მიანიჭა უფლება გამოიყენონ ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, როგორიცაა უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული მოთხოვნის უფლება (ე.წ. RIGHT TO SEPARATE SATISFACTION).

მათი უფლებების რეალიზება, ჩვეულებრივ, სამოქალაქო კანონმდებლობის წესებს ეფუძნება ისევ. იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორები აღარ მონაწილეობენ პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა გამართული, რეალური და სრულყოფილი რეაბილიტაციის გეგმის არსებობამ. გამართულ და განჭვრეტად რეაბილიტაციის გეგმაზეა დამოკიდებული უზრუნველყოფილი კრედიტორების ნდობა და მხარდაჭერა, გააგრძელებენ თუ არა ისინი რეაბილიტაციის პროცესში მყოფ საწარმოსთან ურთიერთობას. სწორედ ამიტომ, რეაბილიტაციის გეგმის შედგენისას პრიორიტეტულად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ გეგმა რეალურად აღსრულებადი იქნება უზრუნველყოფილი კრედიტორისათვის, რათა მან არ გადაწყვიტოს რეაბილიტაციის ქონების საერთო მასიდან უზრუნველყოფის საგნის ამოცლა, გამოცალკევება. ზრუნვა იმის შესახებ, რომ რეაბილიტაციის გეგმა განხორციელებადია ემსახურება კრედიტორთა ინტერესების კოლექტიურ დაკმაყოფილებას, ამ მიზნის მიღწევა კი ხორციელდება პროფესიონალი პრაქტიკოსის მონაწილეობით (რეაბილიტაციის მმართველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი). რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებისათვის საჭირო ფილტრის გავლის მიზნით, კანონის მოთხოვნაა უზრუნველყოფილმა და არაუზრუნველყოფილმა კრედიტორთა ჯგუფებმა ცალ-ცალკე უყარონ კენჭი და უმრავლესობით მოიწონონ ის.

რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესში გაკოტრების მინიმუმის გამოანგარიშებისა და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის დადგენისას გამოიყენება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი.

თუ რეაბილიტაციის გეგმა არ დამტკიცდა, ან თუ რეაბილიტაციის მმართველი მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში რეაბილიტაციის რეჟიმი შესაძლებელია გადაიზარდოს გაკოტრებაში, ამ პროცესს ***კონვერსია*** ეწოდება.

გაკოტრების რეჟიმი

კომპანიის გაკოტრების პროცედურები მთლიანად მიმართული უნდა იყოს კრედიტორთა მაქსიმალურად ეფექტიანად დაკმაყოფილებისაკენ, კოლექტიური აღსრულებისკენ.

❖ კანონის სიახლეები

ა) უზრუნველყოფილი კრედიტორები კმაყოფილდებიან გადახდისუუნარობის დაწყებამდე დადგენილი წესების შეუცვლელად, უზრუნველყოფილი კრედიტორები აღარ მონაწილეობენ გაკოტრების ერთიან პროცედურებში;
ბ) შესაძლებელი გახდა გაკოტრების რეჟიმიდან რეაბილიტაციის რეჟიმში გარდაქმნა/ კონვერსია;
გ) გაკოტრების დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორებს შორის ნაწილდება მათი წილის პროპორციულად;
დ) გამარტივდა და ნათელი გახდა რიგითობა;
ე) საგადასახადო ვალები ჩვეულებრივ რიგში მოექცა;
ვ) პრაქტიკულად აღარ არსებობს პრივილეგიები. პროპორციულობა და თანაბრობა გახდა კანონის ფუნდამენტური მიზანი;
ზ) ერთიანი აუქციონი აღარ არის სავალდებულო და გაფართოვდა ქონების რეალიზაციის შესაძლებლობები.

➢ ქონების რალიზაციის შესაძლებლობები

გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია გადახდისუუნარობის მასის რეალიზაცია განახორციელოს ქონების რეალიზაციისათვის კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი ფორმით, მოქმედი ბიზნესის სახით, გადახდისუუნარობის მასის ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ. მთავარია გაკოტრების მმართველმა ქონების რეალიზაცია ეფექტურად მოახდინოს და მეტი თანხა ამოიღოს. გაკოტრების მმართველს აქვს ქონების რეალიზაციისათვის ნებისმიერი დასაშვები ფორმის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი მიდგომა კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების პრინციპიდან გამომდინარეობს.

კრედიტორთა მაქსიმალური ჩართულობისათვის, გაკოტრების მმართველი აქვეყნებს ქონების რეალიზაციის/გასხვისების ფორმის შერჩევის თაობაზე ინფორმაციას წინასწარ. კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს მას ქონების რეალიზაციის ალტერნატიული შეთავაზებით, იმ საფუძვლით, რომ კრედიტორთათვის სხვა ფორმა უფრო მომგებიანი იქნება.

გაკოტრების მმართველის ამოცანაა, სრულად შეაგროვოს/მოიძიოს მოვალე კომპანიის ქონება და შემდგომ მოახდინოს მისი რეალიზაცია. გაკოტრების მმართველი გვევლინება პროცესის ძლიერ მონაწილედ, რომელსაც გაკოტრების მიზნებისათვის უფლება აქვს მართოს ქონება, გაასხვისოს საჭიროების მიხედვით, მიუხედავად პროცესის დასრულებისა (მაგალითად, მოახდინოს მალფუჭებადი პროდუქტის სწრაფი რეალიზაცია სამეურვეო მასის გაუფასურების თავიდან ასაცილებლად), ნებისმიერ დროს გაანაწილოს მიღებული თანხა კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, დადოს ახალი ან შეწყვიტოს არსებული ხელშეკრულებები, რათა უფრო მეტად ეფექტიანად მოემსახუროს გაკოტრების პროცესს. გაკოტრების მმართველის საქმიანობა არ უნდა იყოს თვითნებური, რისთვისაც მას აქვს პასუხისმგებლობა კრედიტორების მიმართ. მმართველის ასეთ პასუხისმგებლობას ფიდუციური ეწოდება. ფიდუციურობის ფარგლებში კრედიტორების მიმართ ის პასუხს აგებს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანისთვის. კანონმა ერთის მხრივ, აღჭურვა მმართველი აღწერილი მრავალფეროვანი და ძლიერი უფლებებით, ხოლო მეორეს მხრივ, გაავრცელა მასზე გულისხმიერების დაცვის ვალდებულება, რათა მან უზრუნველყოს კრედიტორებისათვის მაქსიმალური შედეგის მიღწევა.

როგორ წესრიგდება საგადასახადო დავალიანების გადახდა?

ახალმა კანონმა, მართლაც რომ, რამდენიმე რევოლუციური და ბიზნესის შენარჩუნებისათვის წამახალისებელი ახალი რეგულირებები შემოგვთავაზა.

რევოლუციურ ნოვაციათა რიცხვს მიეკუთვნება კანონის მიერ შემოთავაზებული რეგულაცია, რომლის მიხედვით კომპანიის საგადასახადო დავალიანება ჩვეულებრივ არაპრივილეგირებულ მოვალეთა რეესტრში შევიდა. ანუ, რეაბილიტაციის გეგმის შედგენისას საგადასახადო დავალიანება, ჩვეულებრივ კრედიტორთა რიგშია გასათვალისწინებელი, იმ პირობით, რომ მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაში პროპორციული ოდენობით უნდა განხორციელდეს საგადახადხადო დავალიანების ძირი თანხის გადახდა.

კანონი კიდევ უფრო წინ წავიდა და ეს პირობა მოქმედი გახადა შემოსავლების სამსახურის ნებართვის გაცემის გარეშე. უფრო ნათლად რომ განვმარტოთ, თუკი

კომპანია დაწყებული გადახდისუუნარობის ფარგლებში ადგენს რეაბილიტაციის გეგმას კრედიტორებისათვის შესათავაზებლად, რათა მათი მოწონების შემდგომ სასამართლომ დაამტკიცოს და ამოქმედდეს რეაბილიტაცია, ამ პროცესში შემოსავლების სამსახური არ მონაწილეობს და არც მათი თანხმობაა საჭირო.

მთავარია გავითვალისწინოთ, რომ რეაბილიტაციის გეგმა სავალდებულოდ უნდა ითვალისწინებდეს, საგადასახადო დავალიანების ძირი თანხის თანაპროპორციული ნაწილებით მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში გადახდას. ასე რომ, ამ მიდგომით გამოირიცხა საგადასახადო შემოსავლების სამსახურის კრედიტორთა კრებაზე მოწვევის ვალდებულება და ამ სამსახურის უშუალო მონაწილეობა პროცესში. პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი გახდა რეალური რეაბილიტაციის გეგმის არსებობა და ამ გეგმის მიხედვით კომპანიის და მისი ბიზნეს საქმიანობის გადარჩენა.

ცხადია, ბიზნესში გაცნობიერებულ ბევრ კომპანიას გაუჩნდება შეკითხვა, საგადასახადო გირავნობა იპოთეკის და სხვა საგასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუნდაც საგადასახადო ყადაღა ან საგადასახადო ინკასო. კანონმა ნამდვილად გადაფარა შესაძლებლობების ზღვარი. ზემოთ აღვწერეთ **მორატორიუმის** მნიშვნელობა. როგორც აღვნიშნეთ გადახდისუუნარობის საქმის წამოწყებით, სასამართლო გამოსცემს განჩინებას და ადასტურებს შერჩეული რეჟიმისათვის (რეაბილიტაცია, გაკოტრება) მორატორიუმის ამოქმედებას. მორატორიუმის ამოქმედება კი, აჩერებს ყოველგვარ იძულებით მოქმედებას. ამდენად, მორატორიუმის პერიოდში კომპანიის მიმართ იძულებითი ღონისძიებები არ ხორციელდება, ხოლო რეაბილტაციის გეგმის ამოქმედებით საგადასახადო დავალიანება უნდა დაიფაროს შესაბამისი გაცხადებული პირობებით.

საინტერესოა აგრეთვე კანონის მიდგომა საგადასახადო ჯარიმებთან და დავალიანებებთან მიმართებაში. კანონით მოცემულია დავალიანებების გასტუმრების რიგითობა, ამ რიგის მიხედვით საგადასახადო ჯარიმები და საურავები გადანაცვლებულია დავალიანებების გასტუმრების ბოლო პერიოდისათვის.

ამ ფორმით კიდევ ერთხელ გამოიხატება სახელმწიფოს ნება, წაახალისოს რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცესი კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის გზით, თუ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი იქნება საგადასახადო მოთხოვნების ძირი თანხის დაფარვა.

ვიდრე გეგმა წარედგინება სასამართლოს, სავალდებულოდ გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო ამოწმებს მის შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. დაუშვებელია ისეთი გეგმის დამტკიცება, რომლითაც გათვალისწინებული არ არის დასაქმებულთა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ***პრეფერენციული*** დაკმაყოფილება; თუ დარღვეულია პროპორციულობის პრინციპი პრეფერენციულ კრედიტორთა ჯგუფში და არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფში; დარღვეულია კრედიტორთა გაკოტრების მინიმუმით დაკმაყოფილების ვალდებულება; უზრუნველყოფილი კრედიტორი მიიღებს უფრო ნაკლებს, ვიდრე უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიიღებდა; დაცული არ არის ახალი კრედიტორული მოთხოვნები.

რა არის გადახდისუუნარობის მასა?

გადახდისუუნარობის მასა ეს არის მოვალე კომპანიის მთელი ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის პროცესის დაწყების მომენტისათვის. რა თქმა უნდა, პროცესის დაწყების შემდეგ შეძენილი ან მოპოვებული ქონება აგრეთვე მასის შემადგენლობაში აღირიცხება. თავის მხრივ, მასაში შემავალი ქონება ემსახურება კრედიტორთა დაკმაყოფილებას და გეგმის შედგენას. მოვალის ქონების მასა, აძლევს საფუძველს მმართველს განჭვრიტოს თუ რამდენად რეალური იქნება რეაბილიტაციის გეგმის შედგენა. თუ რეაბილიტაციის გეგმის ამოქმედებისათვის მასა ვერ უზრუნველყოფს ბიზნეს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას და შეუძლებელი ხდება კომპანიის ყველა კუთვნილი ქონება მობრუნდეს და შეავსოს საერთო მასა, მმართველმა უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, გადახდიუუნარობის საქმის გაკოტრების წარმოებით დასრულების თაობაზე.
შესაბამისად, მათი დაკმაყოფილება ხდება სანივთო ან ვალდებულებით სამართლებრივი მოთხოვნის განხორციელებისათვის დადგენილი საერთო წესით, სამოქალაქო სამართლის საერთო წესების მიხედვით. კანონის ამ მიდგომიდან გამომდინარე, მმართველმა უნდა შეაფასოს, რამდენად შესაძლებელი იქნება კომპანიის რეაბილიტაცია თუკი კომპანიის საერთო მასიდან ამოირიცხება უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის დატვირთული ქონება.
კანონმა მმართველს დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭა, თავად განსაზღვროს, კონკრეტულ ქონებასთან მიმართებაში არსებობს თუ არა ინტერესი.

➢ **რა არის მორატორიუმი? რის საფუძველზე ჩერდება სასამართლოს ყადაღები და აღსრულებები, მათ შორის საგადასახადო გირავნობა და იპოთეკა? რას ნიშნავს კოლექტიური აღსრულების მექანიზმი? და რა უპირატესობა გააჩნიას მას ინდივიდუალური აღსრულების მექანიზმთან მიმართებაში?**

❖ *მორატორიუმის ძირითადი მიზანია გადახდისუუნარობის მასის, საწარმოს/მოვალის ქონების შენარჩუნება და დაცვა. ეს მექანიზმი არის იმ საფრთხეების თავიდან არიდების საშუალება, რომ უკონტროლოდ და ცალკეულად არ მოხდეს საწარმოს ქონების შემცირება/გაფლანგვა.*

სწორედ მორატორიუმის მექანიზმის ამოქმედებით იწყება კრედიტორთა კოლექტიურ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ზრუნვის ეს ფუნდამენტური პრინციპი, აგრეთვე ქმნის იმის საფუძველს, რომ მორატორიუმის პერიოდი ეფექტურად, ყურადღების და კონცენტრაციის სხვა საკითხებზე გადატანის გარეშე, მოემსახუროს სასამართლოში წარსადგენი ძლიერი და დაბალანსებული გეგმის შედგენას. აღნიშნული მექანიზმის შემოღების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ქონების შენარჩუნება და კრედიტორთა კოლექტიურ ინტერესებზე ზრუნვა. ერთი წუთითაც რომ მოხდეს იმის დაშვება, რომ ყველა კრედიტორი ცალ ცალკე იწყებს იძულებით აღსრულებას, უკვე ადვილი წარმოსადგენი ხდება, რომ ცალკეული აუქციონებით, მხოლოდ ინდივიდუალურად მოხდება ერთეული კრედიტორების დაკმაყოფილება, რის შედეგად ქონება

გაიფლანგება და სხვა კრედიტორები დარჩებიან ნული ღირებულებით, ანუ კომპანიის სხვა კრედიტორები რჩებიან დაუცველები. სწორედ ასეთი არათანაბრობისა და არასამართლიანობის არ დაშვების მიზნით, კანონმა მოახდინა ინდივიდუალური აღსრულების შესაძლებლობაზე უარი და ფუნდამენტურ მიზნად დაისახა აღსრულების კოლექტიური მექანიზმის ინსტიტუტის შემოღება, რითაც უფრო მეტად რეალისტური გახადა კრედიტორებზე მზრუნველობა და ეფექტური გახადა საწარმოს შესაძლებლობა შეინარჩუნოს ბიზნესი, რეაბილიტაციის დაშვებით.
მორატორიუმი არის რეალური საფუძველი, გაიუმჯობესოს ლიკვიდურობა, გადაავადოს ვადამოსული ვალდებულებები (მათ შორის საგადასახადო) რაც, თავის მხრივ, ზრდის მის რეაბილიტაციაუნარიანობას და წარმატებული რეაბილიტაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.
უნდა აღინიშნოს, რომ მორატორიუმი გამოიყენება საერთო წესით, როგორც რეაბილიტაციის, ისე გაკოტრების რეჟიმის დროს. კომპანიებს გარკვეული წინაპირობების დაცვით შესაძლებლობა აქვთ რეგულირებულ შეთანხმებასთან მიმართებით აგრეთვე ისარგებლონ მორატორიუმის წესებით.

გადახდისუუნაროების საქმისწარმოება

➢ როგორ იწყება გადახდისუუნაროების პროცესი?

თანამედროვე სამყაროში, ნებისმიერი ბიზნესისათვის, განსაკუთრებით მსოფლიო პანდემიის ფონზე, ფინანსური სიძნელეები ეს არის გამოწვევა, თუ რამდენად გონივრულად შეიძლება დაძლიო კრიზისი, გამოძებნო იესეთი რესურსები, რომ გადაარჩინო ბიზნესი, შეძლო შეინარჩუნო უწყვეტობა, გადაახალისო ძველი და შეერწყა ახალ გამოწვევებს, ისე, რომ არ დაზიანდნენ კრედიტორები.

პროცესი იწყება განცხადებით - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არის მოვალის მიმართ პროცესის სასამართლოს ზედამხედველობის მეშვეობით და კანონით მკაცრად გაწერილი პროცედურების გავლით წარმართვის გზა. განცხადებით განმცხადებელი სასამართლოსგან ითხოვს მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყებას. შემდეგი ეტაპია **განცხადების დასაშვებად ცნობა და მისი შედეგები** - სასამართლომ უნდა იმსჯელოს განცხადების დასაშვებად ცნობაზე და მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ განჩინების დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის შესახებ. იგზავნება შეტყობინებები, რომელშიც მიეთითება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე, მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ აღიარებული ვალდებულების ოდენობა, მითითება, რომ კრედიტორს უფლება აქვს იდავოს თანხის ოდენობაზე, ასევე შეთავაზება კონკრეტული რეჟიმის გახსნის თაობაზე მოსაზრების კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის შესახებ.

რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყება - საქმის განმხილველი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოვალე კომპანიის რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის შესახებ, იგივე გადაწყვეტილებით სასამართლო ნიშნავს რეაბილიტაციის მმართველს,

რეაბილიტაციის ზედამხედველს ან გაკოტრების მმართველს, შერჩეული რეჟიმის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს მორატორიუმის სრულ აღწერას. მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება სარეგისტრაციოდ ეგზავნება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

➢ ვისზე ვრცელდება კანონი?

რეგულირებული შეთანხმება, რეაბილიტაცია და გაკოტრება ვრცელდება, საქართველოში რეგისტრირებულ: კომანდიტურ საზოგადოებაზე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებაზე, კოოპერატივზე, არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირებზე, არარეგისტრირებულ კავშირებზე (გაერთიანებებზე), ამხანაგობებზე. აგრეთვე უცხო ქვეყნის საწარმო ან მისი ნაწილი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, მაგრამ მისი ძირითად ინტერესების ცენტრი საქართველოშია.

➢ განსჯადობა

კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმეებისათვის თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს პროცესის წარმართვისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს ემსახურება თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო დასავლეთ საქართველოს ემსახურება ქუთაისის საქალაქო სასამართლო, შესაბამისად იგივე გეოგრაფიული პრინციპით ემსახურება სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოებში წარმოშობილი საკითხების სადაოობას სააპელაციო დონეზე.

➢ ვინ გვეხმარება გადახდისუუნარობის საქმის წარმართვაში?

კრიზისულ მდგომარეობაში კომპანიისათვის რთულია თავი გაართვა საკანონმდებლო პროცედურების მოთხოვნებს, იმ ფონზე როდესაც დიდია სტრესი და მომავალი გაურკვევლად გამოიყურება. ცხადია დგას გადარჩენის საჭიროება და სათადარიგო გეგმის აუცილებლობა. **გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი** (რეგულირებული შეთანმხების ზედამხედველი, რეაბილიტაციის ზედამხედველი და რეაბილიტაცია/გაკოტრების მმართველი) არის ის ვინც მოვალესთან ერთად ადგენს გეგმას. გეგმას, რომლის მიზანი უპირველესად კომპანიის გადარჩენა, რეაბილიტაცია და კოლექტიური ინტერესის დაკმაყოფილებაა. პრაქტიკოსი არის მაშველი რგოლი, რომელიც კომპანიას მძიმე ფინანსური პრობლემების მიუხედავად დაეხმარება არსებული კრიზისი აქციოს შესაძლებლობად. ამდენად, კრიზისის წარმოშობისთანავე, სავალდებულოდ, პროცესში მოწვეული უნდა იქნეს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის გამოჩენით და მის მიერ შეფასებული ანალიზით, შესაძლებელია არც კი გახდეს საჭირო სასამართლოსთვის მიმართვა და კომპანიის რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში გადაყვანა. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსმა შესაძლებელია მიუთითოს კომპანიას

აირჩიოს სასამართლო გარეშე საქმის წარმოება და გაუწიოს კონსულტაციები რეგულირებული შეთანხმების ამოქმედების შესაძლებლობაზე.

გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი - ეს არის ახალი პროფესია, რომელიც ახალი კანონის მიღებით შეიქმნა. პრაქტიკოსი არის სახელმწიფოს მიერ სერთიფიცირებული, ლიცენზირებული და უფლებამოსილი პროფესიონალი, რომელსაც კანონმა მაღალი ნდობის მანდატი მიანიჭა.

➢ რას ნიშნავს კრედიტორი? და ვინ არიან უზრუნველყოფილი კრედიტორები?

გადახდისუუნარობის რეჟიმების განმარტებისას, კანონის მთავარი მიზანია კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო თუ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში, კოპანიის მასის რეალიზაციით მიღებული თანხებით კრედიტორთა დაკმაყოფილება. გადაახდისუუნარობის საქმის წარმოებისას არ არსებობს მხოლოდ ერთი კრედიტორი და შეუძლებელიც არის, რომ მხოლოდ ერთი კრედიტორი არსებობდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროცესში მონაწილეობს სასამართლო, რომლისთვისაც გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟი, მმართველი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მმართველობითი გასამრჯელო, კომპანიის მიმდინარე თუ არსებული საგადასახადო ვალდებულებები, თანამშრომლები და მათი ანაზღაურება, არსებული საბანკო და სხვა საკრედიტო დავალიანებები და ა.შ. კანონისათვის თუ კი ვინმეს მოთხოვნა გააჩნია კომპანიის მიმართ, ან შემდგომში წარმოეშვება ყველა არის კრედიტორი. ვინაიდან, მოთხოვნის უფლების არსებობა ე.ი ხარ გადახდისუუნარობის სქემის მონაწილე. კანონმა მოახდინა დიფერენცირება და კრედიტორები დაყო ორ ჯგუფად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები და უზრუნველყოფილი კრედიტორები. ეს ორივე ჯგუფი ერთმანეთისაგან გამიჯნულია, იმ პრინციპით, რომ რაც შეიძლება ნაკლებად მოხდეს მათი გადაკვეთა. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისათვის ორივე ჯგუფის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვანი. ვინაიდან, უზრუნველყოფილ კრედიტორებზეა დამოკიდებული დატოვებენ თუ არა ქონებას საწარმოში, რათა საწარმომ მოახდინოს შემდგომი ფუნქციონირება, ხოლო არაუზრუნველყოფილ კრედიტორებზეა დამოკიდებული იარსებებს თუ არა რეალურად შესრულებადი რეაბილიტაციის გეგმა, რომელმაც უნდა დააფინანსოს უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა, რაც შედეგობრივად ემსახურება ისევ არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებას.

➢ რას ნიშნავს საცილო გარიგებები?

სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული მასის ერთიანობის უზრუნველსაყოფად, თუ რაიმე ქონება არის გასული კომპანიიდან უნდა შეფასდეს მიზეზები და საფუძვლები, და არამართლზომიერი დასკვნის შემთხვევაში უკან უნდა იქნეს მოთხოვნილი ეს ქონება. მსგავსი გარიგებების შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს „კრედიტორისათვის ზიანის მომტან ქმედებებს“ ქონდა თუ არა ადგილი,

ვიდრე გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაიწყებოდა. სპეციალურად ქონების გადამალვის მიზნით ხომ არ იმოქმედა ცალკეულმა პირმა. შეცილების უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა გადახდისუუნარობის პროცესში და იგი პირდაპირ ემსახურება კანონის მიზნებს.

➢ რას ნიშნავს დაჩქარებული წესით დავის განხილვა?

ბიზნესებისათვის დავების არსებობა მუდმივი თანმდევი პროცესია, რაც გამოწვეულია ბიზნესის მიერ რაიმე წინასწარი არამართლზომიერი ქმედების განზრახვის გამო. კომპანიას ურთიერთობა აქვს, როგორც მომწოდებლებთან, აგრეთვე მომხმარებელთან. არის ობიექტური გარემოებები, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს, პროდუქციის ხარისხს, დაზიანებას ტრანსპორტირებისას, საგარანტიო პერიოდს და ა.შ. ამიტომ, დავების არსებობა ბიზნესში ეს არ არის კოლაფსი და ჩიხი, ეს ჩვეულებრივ კონკურენტუნარიანობის დახვეწის შესაძლებლობაცაა. გადახდისუუნარობის საქმის დაწყებისას შესაძლებელია კომპანიას გააჩნდეს სასამართლო დავები, ითხოვდეს სხვისგან რაიმეს შესრულებას, ან პირიქით, სხვები ითხოვდნენ მისგან ვალდებულების შესრულებას. ვინაიდან საქმის წარმოების დაწყებით მორატორიუმი ამოქმედდება, ეს არ აჩერებს დავების მიმდინარეობას. მართალია უზრუნველყოფის ღონისძიებები, ყადაღები და იძულებითი აღსრულებები ჩერდება, მაგრამ დავები არ ჩერდება. იმ მიზნით, რომ კანონი დაეხმაროს სასამართლო დავების სწრაფად დასრულებას, სპეციალურად გაიწერა სასამართლოებში დავების განხილვის შემჭიდროვებული ვადები. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ეხმარება მოვალე კომპანიას მოკლე ვადებში ჩამოაყალიბოს მასა.

➢ სად დაეფიქსირდე, როგორც კრედიტორი? როგორ იმართება კრედიტორთა კრება?

სასამართლოს მიერ, საქმის წარმოების გახსნის პერიოდისათვის უკვე არსებობს თუნდაც მცირე ინფორმაცია კრედოტორების მოთხოვნების შესახებ. თუ განცხადება მოვალე კომპანიას შეაქვს, იგი განცხადებაშივე უთითებს კრედიტორების შესახებ. ხოლო, თუ კრედიტორს შეაქვს განცხადება მოვალის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში სასამართლო უგზავნის მოვალეს განმცხადებელი კრედიტორის პრეტენზიის შესახებ დოკუმენტებს, რომელზედაც მოვალემ დასაბუთებულად უნდა გასცეს პასუხი. შედეგად, როდესაც საქმის წარმოება დაიწყება მმართველი კომპანიის მასის ჩამოყალიბებასთან ერთად ადგენს **კრედიტორთა რეესტრს,** თითოეული კრედიტორის აღნიშვნით და ვალის ოდენობის მითითებით. სწორედ მმართველის მიერ შედგენილ კრედიტორთა რეესტრში უნდა ფიქსირდებოდეს კონკრეტული კრედიტორის მოთხოვნა. ამ სიის გადამოწმება მარტივია, ვინაიდან ის არის ხელმისაწვდომი ელექტრონული წესით. თითოეულმა კრედიტორმა დროულად უნდა გადაამოწმოს თავისი მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. კრედიტორთა რეესტრის წარმოების შედეგებიდან გამომდინარე იკრიბებიან კრედიტორები და ტარდება **კრედიტორთა კრება,** რომელზედაც თითოეულ კრედიტორს აქვს თავის მოთხოვნის პროპორციული ხმა.

➢ რას ნიშნავს კრედიტორთა რიგითობა?

როგორც უკვე განიმარტა, კანონმა ჩამოაყალიბა კრედიტორთა ორი ჯგუფი, - არაუზრუნველყოფილი კრედიტორები და უზრუნველყოფილი კრედიტორები. ვინაიდან უზრუნველყოფილი კრედიტორები თავიანთი მოთხოვნებით პროცესის მიღმა არიან, მათ არ ეხებათ კრედიტორთა დაკმაყოფილებისათვის იერარქიული რიგითობა. კრედიტორთა რიგითობა განსაზღვრავს თუ რამდენად საკმარისია მასა და მისი ღირებულება, რამდენად გაწვდება მისი ოდენობა კრედიტორთა კოლექტიურ მოთხოვნებს. ახალმა კანონმა თვალნათელი და მარტივი გახადა კრედიტორთა რიგითობის საკითხი და მას სამართლიანი გადანაწილებისათვის მეტი დატვირთვა მისცა. რიგითობა თავისი შინაარსით გულისხმობს მოთხოვნების პრიორიტეტულობას, ამიტომ ყოველო მომდევნო რიგის კრედიტორთა დაკმაყოფილების ვალდებულება დგება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სრულად არის დაკმაყოფილებული წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნები.

➢ ვინ არის მოვალე?

მოვალე არის ბიზნესის მფლობელი, კომპანია, მეწარმე ან არამეწარმე პირი, რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ამხანაგობა, რომელიც ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება. ფინანსური სიძნელეების არსებობა არ უნდა აღვიქვად მხოლოდ იმ გაგებით, რომ კომპანიამ რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა. გლობალურმა გარემო პირობებმა შესაძლებელია გააჩინოს ის ფაქტობრივი საფუძვლები, რომლის გამო კომპანია ფინანსურ კრიზისს აყწდება. კანონი ითვალისწინებს წინაპირობების გაანალიზებას, რათა სწორად იქნეს შერჩეული კომპანიისათვის გადახდისუუნარობის რეჟიმი. თუ ფინანსური სიძნელეები ბიზნესისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის გამოწვეული და აშკარაა, რომ კომპანია ცდილობს დაძლიოს გამოწვევები, ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებლობა თავად მოვალე დაინიშნოს და მიენიჭოს მართვის უფლება, ხოლო მისი საქმიანობის კონტროლის მიზნით, განისაზღვროს რეაბილიტაციის ზედამხედველის დანიშვნა. ამდენად, რა რეჟიმიც არ უნდა იქნეს შერჩეული, საქმის წარმოების დაწყების შემდეგ სამართლებრივად უკვე მოვალესთან გვაქვს საქმე.

➢ რა არის საქართველოს საკანონმდებლო მაცნე?

საკანონმდებლო მაცნე არის ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელშიც განთავსებულია საჯარო მიზნებისათვის განკუთვნილი მოქმედი თუ გაუქმებული იურიდიული დოკუმენტები. საკანონმდებლო მაცნე არის საშუალება სასამართლოს მიერ მიღებული რეაბილიტაციასთან და გაკოტრებასთან დაკავშირებული განჩინებები გამოქვეყნდეს და მივიღოთ ინფორმაცია კომპანიის მართვის რეჟიმის შესახებ. კანონი ხშირ შემთხვევაში სავალდებულოდ მოითხოვს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმის წარმოების და შემდგომ დასრულების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს საკანონმდებლო მაცნის საშუალებით. ამიტომ, საკანონმდებლო მაცნის ელექტრობულ მონაცემთა ბაზებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ოფიციალური და ნამდვილი დოკუმენტის სტატუსი აქვს მინიჭებული.

➢ რას ნიშნავს ინფორმირებულობა? -რითია უზრუნველყოფილი გადახდისუუნარობის პროცესის გამჭვირვალობა? თუ ვარ კრედიტორი, როგორ უნდა ვიყო ჩართული და ვადევნო თვალყური პროცესებს?

კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიმართ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რაც, ერთის მხრივ, საკანონმდებლო მაცნეს საშუალებით ხორციელდება. ამასთან არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებას. ასეთი ინფორმაციებისათვის კანონმა განსაზღვრა ინფორმაციის გამოქვეყნება საერთო სასამართლოების ელექტრონული პორტალის საშუალებით, სადაც შესაძლებელია გავეცნოთ მოვალეთა რეესტრს და სხვა ინფორმაციას.

➢ რას ნიშნავს კონვერსია და როგორ შეიძლება ვისარგებლოთ ამ უფლებით?

კონვერსია იძლევა შესაძლებლობას, რომ შეიცვალოს რეჟიმი. გასაგებია, რომ თუ რეაბილიტაციის ყველა მექანიზმი იქნა გამოყენებული და შეუძლებელია პრობლემების დაძლევა, ასეთ შემთხვევაში კომპანია უნდა გადავიდეს გაკოტრების რეჟიმში. არის შემთხვევები, როდესაც საქმის წარმოება ამა თუ იმ მიზეზის გამო იწყება გაკოტრების რეჟიმის გახსნით, მაგრამ სასამართლოს მიერ შერჩეულმა პრაქტიკოსმა გაკოტრების მმართველმა შესაძლებელია აღმოაჩინოს რესურსები, რომელიც ქმნის პრობლემების დაძლევის შესაძლებლობას და დღის წესრიგში დგება ახალი რეაბილიტაციის გეგმით ფინანსური კრიზისის დაძლევას. კანონი ამ შემთხვევაშიც უშვებს, რომ გაკოტრების რეჟიმის მყოფი ბიზნესის კონვერსირებული იქნეს და გადავიდეს რეაბილიტაციის რეჟიმში.

➢ რა ბედი ეწევა გაკოტრების შედეგად დარჩენილ ქონებას და შეიძლება თუ არა ეს ქონება მოვალის პარტნიორებს დარჩეთ?

არის შემთხვევები, როდესაც კრედიტორთა დაკმაყოფილების შედეგად მასაში არის ნარჩენი და ზოგ შემთხვევაში სოლიდურიც. ასეთ შემთხვევაში კანონი მიუთითებს, რომ, თუ კრედიტორთა ყველა რიგი დაკმაყოფილებულია, ბოლოს დარჩენილი ქონება გადანაწილდება კომპანიის დამფუძნებლებზე.

➢ რაც შეეხება პასუხისმგებლობას, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას - აქვს თუ არა მოვალეს ვალდებულება მიმართოს სასამართლოს გადახდისუუნარობის განცხადებით?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ დებულებებს გადახდისუუნარობის საქმეების მიმართ.

კომპანიები და ბიზნესები ხშირად თვითიმედოვნებენ, ან ვერ აცნობიერებენ, რომ ფინანსური სიძნელეების წინაშე დიდხნიანი დაყოვნება იწვევს პარალელურ კრიზისულ შედეგებს, რითაც ზარალდებიან კრედიტორები. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ მათი უმოქმედობით საფრთხე ექმნება არაერთ კრედიტორს და ზარალდება ყველა მოლოდინი, რომელიც ეკონომიკური ბრუნვიდან ამონაგებს ელოდება. თუ კომპანია უმოქმედო მდგომარეობაშია და იგი არ ცდილობს დაძლიოს ფინანსური კრიზისი, ეს არის სერიოზული პრობლემა სხვა კრედიტორებისათვის, ვინაიდან მათი ფინანსური შემოსავლები დამოკიდებულია იმ შემოსავლებზე, რომლებიც მათ იმ დროს და იმ მოცულობით უნდა მიიღონ, რომელიც ბიზნეს საქმიანობის უწყვეტობას ემსახურება. **თუ მოვალემ დროზე არ გვაცნობა და არ იმოქმედა ვადამოსული დავალიანების დასაფარად, ეს უკვე გამოიწვევს ჩვენი ბიზნესების კრიზის, ანუ სხვისი უმოქმედობა ხდება ჩვენი ფინანსური ზიანის პრობლემა.** ნორმალური მოლოდინია, როდესაც კომპანია ფიქრობს დაძლიოს კრიზისი და მიმართავს კანონით გათვალისწინებულ სასამართლო თუ სასამართლოს გარე შესაძლებლობებს.

კანონის მიზანი არ არის პასუხისგებაში მიცემა, კანონის მიზანია დროულად იმოქმედოს ბიზნესმა და რეაბილიტაციის შესაძლებლობით დააკმაყოფილოს კრედიტორები თუ ბიზნესისათვის აშკარაა, რომ მიუხედავად პრობლემებისა ის აჭიანურებს დროს და არ მოქმედებს შესაბამისად ასეთ შემთხვევაში კანონი ავრცელებს მასზე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არა იმიტომ რომ მას პრობლემები აქვს, არამედ იმიტომ, რომ შეუძლია იმოქმედოს, თუნდაც სხვა კრედიტორების ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ ბრალეულად არ აკეთებს ამას. მისი უმოქმედობა არის გაცნობიერებულად სხვების დაზიანება და ასეთი უმოქმედობა განიხილება მართლწინააღმდეგობრივ ქმედებად. ბიზნესებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვა არის შესაძლებლობა, არსებობენ პროფესიონალი პრაქტიკოსები, რომელთა პროფესიული დავალებაა საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოებში მცდელობა არ დააკლონ ბიზნესის რეაბილიტაციას. პასუხისმგებლობის გაცნობიერება, არის შესაძლებლობა თავიდან იქნეს არიდებული სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. კანონი ასევე ავალდებულებს მოქმედ თუ ყოფილ დირექტორებს ითანამშრომლონ რეაბილიტაციის მმართველთან და მიაწოდონ სრული და უტყუარი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.

მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კანონი, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილში, აგრეთვე ქონების გადამალვას, განზრახ დაზიანებას, იმ მიზნით, რომ ეს ქონება არ მოხვდეს, ან ამოირიცხოს მასიდან. ეს შემთხვევები აგრეთვე მართლწინააღმდეგობრივად განიხილება და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

www.bripa.ge